



ჰონორარი, მინდობილი თანხები  
და ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებები

ანა ლორია (ავტორი)  
ეთიკის კომისიის წევრი  
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის მიმართულების თანახელმძღვანელი  
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი  
თბილისი, 2019

Fees, Trust Funds  
and Fiduciary Duties of a Lawyer

Ana Loria (author)  
EC Member  
Georgian Bar Association (GBA)

Legal Ethics Co-Chair  
New Vision University  
Tbilisi, 2019

This research paper is made possible by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The contents are the responsibility of the author and do not necessarily reflect the views of USAID, the United States Government, or East-West Management Institute.

წინამდებარე კვლევითი ნაშრომი შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მასში განთავსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი არის ავტორი. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



E A S T • W E S T  
M A N A G E M E N T  
I N S T I T U T E

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

# სარჩევი

|       |   |    |
|-------|---|----|
| I.    | შესავალი.....   | 4  |
| II.   | ჰონორარის განსაზღვრა .....  | 5  |
|       | (1) საათობრივი ანაზღაურება (HOURLY RATE) .....  | 6  |
|       | (2) ფიქსირებული ოდენობა/მყარად განსაზღვრული ოდენობა (FIXED FEE/FLAT FEE).....         | 7  |
|       | (3) პირობითი ანაზღაურება/წარმატების ჰონორარი (CONTINGENT FEE).....                    | 8  |
| III.  | ჰონორარის შეთავაზება და ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში.....                           | 11 |
|       | (1) ადვოკატის მიერ გასაწევი მომსახურების ჰონორარის შეთავაზება უცხოურ ვალუტაში .....   | 11 |
|       | (2) ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურებისათვის .....     | 12 |
|       | (3) ეთიკის კომისიის პრაქტიკა უცხოურ ვალუტაში ფასდადებისა და ანგარიშსწორების შესახებ.. | 12 |
|       | (4) დასკვნა.....  | 14 |
| IV.   | ჰონორარის ოდენობის გონივრულობა .....  | 15 |
|       | 1. საქართველოს კანონმდებლობა.....   | 15 |
|       | 2. აშშ-ს კანონმდებლობა (ABA MODEL RULES OF PROFESSIONAL CONDUCT).....                 | 16 |
|       | 3. ევროგაერთიანების კანონმდებლობა (CCBE).....   | 17 |
|       | 4. დასკვნა.....   | 17 |
| V.    | მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება .....                 | 19 |
| VI.   | მინდობილი თანხები და მასთან დაკავშირებული ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებები           | 22 |
|       | (1) მინდობილი თანხების კუთვნილება .....   | 22 |
|       | (2) მინდობილი თანხების განთავსებასთან დაკავშირებული შეზღუდვები .....                  | 22 |
|       | (3) მინდობილი თანხების განკარგვის უფლებამოსილება .....                                | 24 |
|       | (4) მინდობილი ქონების კეთილსინდისიერი მართვის ვალდებულება.....                        | 24 |
|       | (5) ხარჯთაღრიცხვის წარმოება.....  | 27 |
| VII.  | ჰონორარის რეგულირება საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას .....                         | 30 |
|       | (1) გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნება.....  | 30 |
|       | (2) პროპორციული ოდენობის განსაზღვრა.....  | 32 |
|       | (3) დაუხარჯავი მინდობილი თანხების ან სხვა ქონების დაბრუნება .....                     | 34 |
|       | (4) საქმის მასალების დაბრუნება.....   | 35 |
| VIII. | ეთიკის კომისიის კომპეტენცია თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში .....                 | 38 |
| IX.   | დასკვნა .....   | 40 |
| X.    | ბიბლიოგრაფია .....  | 42 |
|       | ნორმატიული აქტები .....   | 42 |
|       | ქართულენოვანი ლიტერატურა .....  | 42 |
|       | უცხოენოვანი ლიტერატურა.....   | 43 |
|       | ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები/რეკომენდაციები .....                                 | 43 |
|       | სასამართლო გადაწყვეტილებები.....  | 44 |

# I. შესავალი

ბოლო წლებში, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ დარღვევების უმეტესობა ეხება ადვოკატის მიერ ჰონორარის განსაზღვრას, გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნებას, მინდობილ თანხებსა და ზოგადად ფინანსებთან დაკავშირებულ ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. კანონმდებლობით არ არის გაწერილი ერთიანი სტანდარტები, რითაც შეუძლია ადვოკატს იხელმძღვანელოს ჰონორარის განსაზღვრისა და მისი გამომანგარიშების წესის შემუშავების პროცესში. ასევე, ადვოკატებში არსებობს არაერთგვაროვანი გაგება იმ ფიდუციური ვალდებულებებისა, რომელიც მათ აკისრიათ საქართველოში არსებული პროფესიული ქცევის მარეგულირებელი კანონმდებლობით.

მოცემული ნაშრომი მიმოიხილავს არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობასა და ადგილობრივ პრაქტიკას<sup>1</sup>, არამედ ასევე უთითებს ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის ქვეყნების კანონმდებლობასა და პრაქტიკას, რომელიც დაკავშირებულია ადვოკატის ჰონორართან, მინდობილ თანხებთან და ფიდუციურ ვალდებულებებთან.

ადვოკატს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. აქედან გამომდინარე, ადვოკატს აკისრია მთელი რიგი ეთიკური ვალდებულებები, რომლის კეთილსინდისიერად შესრულებით ადვოკატი ხელს უწყობს საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის ჩამოყალიბებას.

სწორედ ამიტომ, აუცილებელია ადვოკატმა სწორედ განმარტოს ის ნორმები, რასაც პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს ადვოკატებისათვის, მათ შორის ჰონორარის განსაზღვრის, მისი გამოთვლის წესის, მინდობილი თანხების/ქონების და მასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და სხვა ფიდუციური ვალდებულებების შესახებ.

---

<sup>1</sup> იგულისხმება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები/რეკომენდაციები და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები.

## II. ჰონორარის განსაზღვრა

ჰონორარი არის კომპენსაცია იმ მომსახურებისათვის, რომელსაც ადვოკატი სთავაზობს კლიენტს. ეს არის ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ, ეთიკის კოდექსიც ეხება აღნიშნულ საკითხს და ადვოკატის მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს აწესებს. კერძოდ, ჰონორარის ოდენობა და მისი გამოთვლის წესი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“), მუხლი 8.8). ეს ნორმა ავალდებულებს ადვოკატს არა მხოლოდ ჰონორარის ოდენობის მითითებას, არამედ იმის განსაზღვრასაც, თუ როგორ გამოითვლება ეს ოდენობა. რას ნიშნავს ჰონორარის ოდენობის გამოთვლის წესის განსაზღვრა? აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ადვოკატის მიერ შეთავაზებული ჰონორარის ექვივალენტური მომსახურების ფარგლებს.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატი სამართლებრივი მომსახურების ხელშეკრულებაში უთითებს მის მიერ გასაწევი იურიდიული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ ჰონორარს, თუმცა არ აკონკრეტებს რა ფარგლებში სთავაზობს კლიენტს მომსახურებას. მომსახურების ფარგლების განსაზღვრა ხშირად გამხდარა დავის საგანი ადვოკატ-კლიენტს შორის.

კლიენტისათვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი თუ რა მომსახურებას სთავაზობს ადვოკატი მას შეთავაზებულ ჰონორარში. აღნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობა ჩაითვლება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ჰონორარის ოდენობისა და მისი გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევად.

„საადვოკატო მომსახურების დაწყების მომენტიდან ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება, როგორც მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, ასევე საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობის, გამოთვლის წესის, გადახდის ფორმისა და ვადების თაობაზე.“<sup>2</sup>

„ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმები ავალდებულებს წინასწარ განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და გაანგარიშების წესი და აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს კლიენტს. დაუშვებელია ადვოკატმა მიუთითოს ჰონორარის

---

<sup>2</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 26 ივნისის რეკომენდაცია #010/13.

ოდენობა და არ განუმარტოს კლიენტს მომსახურების ფარგლები, რომლისთვისაც განსაზღვრა ადვოკატმა მითითებული ჰონორარი.“<sup>3</sup>

ამდენად, შესაძლებელია კლიენტისათვის ცნობილი და მისაღები იყოს სრული მომსახურების საფასური, თუმცა სრულიად უცნობი იყოს ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი, რაც ეთიკის კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს.

მსოფლიოში გავრცელებულია ადვოკატის ჰონორარის ოდენობის გამოთვლის შემდეგი მეთოდები: (1) საათობრივი ანაზღაურება (Hourly Rate); (2) ფიქსირებული ოდენობა (Fixed Fee); და (3) პირობითი ანაზღაურება/წარმატების ჰონორარი (Contingent Fee).

### (1) საათობრივი ანაზღაურება (Hourly Rate)

საათობრივი ანაზღაურება, როგორც წესი, განისაზღვრება ადვოკატის განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და სტატუსის (პარტნიორი, უფროსი იურისტი, იურისტი, პარალელგალი და ა.შ.) შესაბამისად. ამერიკის შეერთებულ შტატებში, საათობრივი ანაზღაურების ოდენობა ასევე დამოკიდებულია ადვოკატის რეპუტაციაზე, დარგობრივ კომპეტენციასა და ადვოკატის სამუშაო ადგილზე/ლოკაციაზე<sup>4</sup>. საქართველოში, ადვოკატი, მის მიერ გაწეული სამუშაოსათვის დამოუკიდებლად განსაზღვრავს საათობრივი ანაზღაურების ოდენობას. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვებს საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას, ეს მთლიანად დამოკიდებულია ადვოკატის დისკრეციაზე. მთავარია, რომ ანაზღაურების გამოთვლის ეს წესი და ოდენობა ცნობილი და მისაღები იყოს კლიენტისათვის. ამ მეთოდით სარგებლობისას, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მოქმედებდეს და არ აღრიცხოს იმაზე მეტი დრო, რაც საკმარისი იყო კლიენტის საქმის წარმოებისათვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებულია ასევე ჰონორარის გამოთვლის ისეთი წესი, რომელიც კლიენტს სთავაზობს საათობრივ ანაზღაურებას არა იურიდიულ კომპანიაში მომუშავე კონკრეტული ადვოკატის მიერ განსაზღვრული ფასის მიხედვით, არამედ ამავე კომპანიაში არსებული საათობრივი ანაზღაურების საშუალო ოდენობის (ყველაზე მაღალ განაკვეთს დამატებული ყველაზე დაბალი

<sup>3</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #125/18.

<sup>4</sup> Kent D. Kauffman – Legal Ethics, third edition, Cengage Learning, NY, USA, 2014, pg. 304

განაკვეთი და გაყოფილი ორზე) გამოთვლის გზით (Blanded Rate)<sup>5</sup>. თუმცა ეს მეთოდი არც ისე დიდი „პოპულარობით“ სარგებლობს ამერიკელ ადვოკატებში.

საათობრივი ანაზღაურების მეთოდი საქართველოშიც გამოიყენება, თუმცა ის ისე გავრცელებული არ არის, როგორც ევროპის უმეტეს ქვეყანასა (მაგ. ჰოლანდია, ლუქსემბურგი, ირლანდია, ესპანეთი, პორტუგალია, ნორვეგია, ავსტრია, დანია და ა.შ.<sup>6</sup>) და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად იმისა, რომ საათობრივი ანაზღაურების მეთოდის გამოყენება ზრდის ადვოკატის პასუხისმგებლობას, საადვოკატო მომსახურებისათვის განსაზღვრული ანაზღაურების ეს მოდელი „მეტად ეფექტიან და კლიენტზე ორიენტირებულ მიდგომად განიხილება“<sup>7</sup>.

## (2) ფიქსირებული ოდენობა/მყარად განსაზღვრული ოდენობა (Fixed Fee/Flat Fee)

ფიქსირებული ოდენობა არ არის დამოკიდებული ადვოკატის მიერ დახარჯულ დროზე ან საქმეთა რაოდენობაზე. ანაზღაურების გამოთვლის ეს მეთოდი მეტად გავრცელებულია და აღიქმება, როგორც „მომხმარებელზე მორგებული“ გამოთვლის მეთოდი, რადგან კლიენტმა წინასწარ იცის რა დაუჯდება ადვოკატის მომსახურება სრულად<sup>8</sup>. აღნიშნული მეთოდით ანაზღაურების გამოთვლა საქართველოშიც ყველაზე მეტად არის გავრცელებული. თუმცა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ამ მეთოდს უკავშირდება არის ის, რომ ადვოკატები ზუსტად არ განსაზღვრავენ მათ მიერ მითითებულ ფიქსირებულ ოდენობაში რა მოცულობით სთავაზობენ კლიენტებს სამართლებრივ მომსახურებას; კლიენტისათვის ხშირად ბუნდოვანია ადვოკატის მომსახურების ფარგლები. ამიტომ, მნიშვნელოვანია ანაზღაურების გამოთვლის ფიქსირებული ოდენობის მეთოდის გამოყენებისას, ადვოკატმა ზუსტად განსაზღვროს თუ რომელ დავაში მოემსახურება კლიენტს და რა ფარგლებში (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, სამივე ინსტანციის ჩათვლით, აღსრულების ეტაპის ჩათვლით თუ სხვა).

საუკეთესო შემთხვევაში, ადვოკატმა ჰონორარის ოდენობა უნდა განსაზღვროს მის მიერ გასაწევი მომსახურების დეტალური განმარტებით.

<sup>5</sup> იხ. Kent D. Kauffman – Legal Ethics, third edition, Cengage Learning, NY, USA, 2014, pg. 303.

<sup>6</sup> იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 32.

<sup>7</sup> იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 37.

<sup>8</sup> იხ. Kent D. Kauffman – Legal Ethics, third edition, Cengage Learning, NY, USA, 2014, pg. 307.

მაგალითისათვის, ჰონორარის ოდენობა ადვოკატის მიერ სრულად, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოს სამივე ინსტანციაში განსახორციელებელი სამართლებრივი მომსახურებისათვის თუ შეადგენს 5000 ლარს, ადვოკატმა ხელშეკრულებაში სასურველია მიუთითოს მისი ჰონორარის ოდენობა ინსტანციების მიხედვით - ადმინისტრაციულ ორგანოებში დავის დასრულების შემთხვევაში ჰონორარის ოდენობა შეადგენს 2000 ლარს, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმისწარმოება (სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ჩათვლით) შეადგენს 1000 ლარს, მეორე ინსტანციაშიც (გადაწყვეტილების გამოტანის ჩათვლით) - ასევე 1000 ლარს და მესამე ინსტანციაშიც - 1000 ლარს. ასეთ დროს ადვოკატისთვისაც და კლიენტისთვისაც წინასწარ იქნება განსაზღვრული ჰონორარის გამოთვლის წესი და მათ შორის ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ადვილად მოხდება გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობის პროპორციულობის გამოთვლა.

### (3) პირობითი ანაზღაურება/წარმატების ჰონორარი (Contingent Fee)

ტრადიციულად, პირობითი ანაზღაურების სისტემა მიჩნეულია გადახდის ხელსაყრელ მექანიზმად იმ კლიენტებისათვის, რომელთაც არ შესწევთ უნარი საათობრივად ან მყარად განსაზღვრული (ფიქსირებული) თანხა აანაზღაურონ, მაგრამ სამაგიეროდ აქვთ „მოსაგები“ საქმე.

აღნიშნული მეთოდის გამოყენება უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას იმ ფენებისთვისაც, რომლებიც მართალია არ განეკუთვნებიან სოციალურად დაუცველ ფენას, თუმცა არ აქვთ ეკონომიკური შესაძლებლობა ისარგებლონ ადვოკატის მომსახურებით.

ძირითადად, პირობით ანაზღაურებაზე შეთანხმება ისეთი საქმეების წარმოებისას გამოიყენება, რომელთა მოგების შემთხვევაშიც მოსალოდნელია კლიენტის მიერ თანხის მოგება მისი ქონებრივი ან პირადი ინტერესის შესაბამისად<sup>9</sup>.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგებული თანხის პროცენტი საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში მერყეობს საშუალოდ 25%-დან - 35%-მდე; საქმის სასამართლოში წარმატებით მოგების შემთხვევაში - 35%-დან - 40%-მდე. მოგებული თანხის პროცენტი შესაძლოა იყოს უფრო მაღალი, თუ გასაჩივრების შემთხვევაშიც უცვლელი დარჩება ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება,

<sup>9</sup> იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 35.



რის მიხედვითაც ადვოკატმა მოიგო კლიენტის საქმე<sup>10</sup>. შესაბამისად, მოგებული თანხის პროცენტი, არ არის დამოკიდებული „მოგებული“ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე ან თანხის ამოღებაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ძირითადად ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე გამოიყენება ადვოკატის მომსახურებისათვის ანაზღაურების გამომანგარიშების ეს მეთოდი<sup>11</sup>, თუმცა ამ მეთოდის გამოყენება არაეთიკურად ითვლება არასრულწლოვანი კლიენტის წარმომადგენლობის შემთხვევაში<sup>12</sup>, ასევე „საოჯახო დავებსა და სისხლის სამართლის საქმეებზე“<sup>13</sup>, რადგან ასეთ საქმეებზე არ არსებობს ის „მოგებული სიკეთე“, საიდანაც თანხის ამოღება იქნებოდა შესაძლებელი და გარკვეულწილად, ასეთი ტიპის საქმეებისადმი არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი<sup>14</sup>.

პირობით ანაზღაურებაზე შეთანხმება არც ისე დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპის ქვეყნებში. მეტიც, მაგალითად, იტალიისა<sup>15</sup> და საფრანგეთის<sup>16</sup> კანონმდებლობით, პირობით ანაზღაურებაზე შეთანხმება საერთოდ დაშვებულია. საქართველოს კანონმდებლობით, ანაზღაურების ამ მეთოდზე შეთანხმება არ ეწინააღმდეგება ეთიკურ სტანდარტებს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განიხილა ადვოკატის ჰონორარის გამოთვლის წესი და განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების „ხელშეკრულების შინაარსი: „თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ადვოკატის კლიენტის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ამოღებისთანავე რწმუნებულის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით“ არ წარმოადგენს პირობადადებულ გარიგებას, რადგან საადვოკატო ჰონორარის ანაზღაურების კლიენტის ნებაზე დამოკიდებულ პირობად ან პოზიტიურ პირობად განმარტება სრულიად არაგონივრული, უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვის დამაზიანებელი იქნებოდა“<sup>17</sup>.

თუ ადვოკატი გადაწყვეტს აირჩიოს ანაზღაურების გამოთვლის ეს მეთოდი, მნიშვნელოვანია გაითვალისწინოს დავის მორიგებით დასრულების შემთხვევაში მისი

<sup>10</sup> იხ. Kent D. Kauffman – Legal Ethics, third edition, Cengage Learning, NY, USA, 2014, pg. 304.

<sup>11</sup> იხ. Kent D. Kauffman – Legal Ethics, third edition, Cengage Learning, NY, USA, 2014, pg. 303.

<sup>12</sup> იხ. Robert L. Wheeler, INC. v. Scott, Supreme Court of Oklahoma, 1989, 777 P.2d. 394.

<sup>13</sup> იხ. მოლიტერნო ჯ. და ჰარისი ჯ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, 2014, 84; ასევე იხ. ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ქცევის მოდელური წესები, წესი 1.5(d).

<sup>14</sup> იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 35.

<sup>15</sup> იხ. იტალიის ადვოკატთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 45.

<sup>16</sup> იხ. პრაქტიკის ჰარმონიზაციის წესები, საფრანგეთის ადვოკატთა საბჭო, მუხლი 11.3.

<sup>17</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1161-1116-2016.

პროცენტი. ასევე მნიშვნელოვანია ადვოკატმა კლიენტს წინასწარ განუმარტოს, თუ რას ნიშნავს წარმატების ჰონორარი; უკავშირდება თუ არა ის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას და დამოკიდებულია თუ არა გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

საქართველოში ხშირად მიმართავენ ანაზღაურების გამოთვლის კომბინირებულ მეთოდს: ფიქსირებულ ოდენობაზე შეთანხმებას და პირობით ანაზღაურებაზე/წარმატების ჰონორარზე შეთანხმებას; ან საათობრივ ანაზღაურებაზე შეთანხმებას და პირობით ანაზღაურებაზე/წარმატების ჰონორარზე შეთანხმებას. საქართველოში, ადვოკატთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, ამგვარი შეთანხმება არ ითვლება არაეთიკურად, თუ ის წინასწარ არის ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის.

### III. ჰონორარის შეთავაზება და ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადვოკატები მათ მიერ გაწეული მომსახურებისათვის კლიენტს ჰონორარის ოდენობას სთავაზობენ და ანგარიშსწორებას ახორციელებენ უცხოურ ვალუტაში, რაც არ შეესაბამება არც საქართველოს კანონმდებლობას და არც პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

#### (1) ადვოკატის მიერ გასაწევი მომსახურების ჰონორარის შეთავაზება უცხოურ ვალუტაში

ადვოკატებმა მათ მიერ გასაწევი საადვოკატო მომსახურებისათვის ჰონორარი უნდა განსაზღვრონ ეროვნულ ვალუტაში - ლარში. მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან / და რეკლამირებისას ფასი გამოხატული უნდა იყოს მხოლოდ ლარით (საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 34.2<sup>1</sup>). აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში 2016 წლის 29 დეკემბერს, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან.<sup>18</sup> მითითებული წესის დარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სანქცია - წინადადების მიმცემის (ოფერენტის), ან რეკლამის დამკვეთის გაფრთხილება, ან ჯარიმა 1000-დან 5000 ლარამდე ოდენობით (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 153<sup>7</sup>). საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, თუ აღნიშნული წესების დარღვევამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 216).

საადვოკატო საქმიანობა არის მომსახურების ერთ-ერთი სფერო. საქართველოში საადვოკატო საქმიანობის განხორციელება ითვლება საქართველოში

---

<sup>18</sup> იხ. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #N238-რს, 29.12.16.

მომსახურების გაწევად და შესაბამისად, მასზეც ვრცელდება მომსახურების ფასის ეროვნულ ვალუტაში განსაზღვრის ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნა.

ამასთან, საადვოკატო მომსახურება არ განეკუთვნება იმ ტიპის მომსახურებას, რომლის ფასდადებისთვისაც კანონი ითვალისწინებს გამონაკლისებს აღნიშნული წესიდან. მაგ. ტურისტული მომსახურება (ავიაბილეთების რეალიზაცია); ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვა; ენერგეტიკის სფეროში ინვესტორის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში განხორციელებული მომსახურება; როუმინგის მომსახურება და ა.შ.<sup>19</sup>

## **(2) ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურებისათვის**

საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურებისათვის, მათ შორის საადვოკატო მომსახურებისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული ექსპორტ-იმპორტთან, ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

საქართველოში დასაშვებია უცხოური ვალუტით ნებისმიერი გადახდის ოპერაციის განხორციელება, გარდა საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების საფასურის გადახდის ოპერაციებისა, თუკი აღნიშნული ოპერაცია არ არის დაკავშირებული ექსპორტ-იმპორტთან.<sup>20</sup>

## **(3) ეთიკის კომისიის პრაქტიკა უცხოურ ვალუტაში ფასდადებისა და ანგარიშსწორების შესახებ**

აღსანიშნავა ამ მიმართულებით ეთიკის კომისიის პრაქტიკა, თუ როგორ არეგულირებს უცხოურ ვალუტაში თანხის შეთავაზებისა და ანგარიშსწორების განხორციელების საკითხს.

2019 წლამდე, ეთიკის კომისიას მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება ჰქონდა, სადაც აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, უცხოურ ვალუტაში მომსახურების ფასის შეთავაზება და ანგარიშსწორება შესაძლოა

---

<sup>19</sup> იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #93/04 „მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასის გამოხატვასთან დაკავშირებით განსხვავებული წესის დადგენის თაობაზე“, 22.06.2017.

<sup>20</sup> იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“, №8/04, 22.01.2015, მუხლი 22(ა).

წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წესების დარღვევას, თუმცა ამ საკითხის განხილვა არ შედიოდა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში და ეთიკის კომისია განმცხადებლებს მოუწოდებდა ამ დარღვევების თაობაზე მიემართათ შესაბამისი ორგანოებისათვის. კერძოდ, ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატ ე. წ.-ს მიერ შესაძლოა დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 216-ე მუხლი საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესი ან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153<sup>1</sup>-ე მუხლი საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამოყენების წესი. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია იმსჯელოს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და საჩივრის ავტორს შეუძლია მიმართოს შესაბამის ორგანოს“<sup>21</sup>.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატს პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა აკისრებს კანონიერების ფარგლებში მოქმედებისა და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას. კანონის ფარგლებში კლიენტის ინტერესების დაცვა გულისხმობს კანონის შესაბამისად მოქმედებას; მოცემულ შემთხვევაში კი უცხოურ ვალუტაში ფასის შეთავაზებასა და ანგარიშსწორებასთან იმ აკრძალვების გათვალისწინებას, რასაც საქართველოს კანონმდებლობა აწესებს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფასის შეთავაზებას და ანგარიშსწორებას უცხოურ ვალუტაში თავად კლიენტი ითხოვს, ადვოკატმა მაინც უნდა დაიცვას კანონის მოთხოვნები და ფასი განსაზღვროს ეროვნულ ვალუტაში, რადგან კანონიერების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე, მათ შორის კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობაზე მაღლა დგას. კანონიერების პრინციპის უპირატესობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კანონიერება, რაც მოიაზრებს ადვოკატის ვალდებულებას იმოქმედოს კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე მაღლა დგას. ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია კანონის უზენაესობის დამკვიდრება საზოგადოებაში. ადვოკატს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მართლმსაჯულების განხორციელებაში. ადვოკატი იცავს კლიენტების კანონიერ უფლებებს სხვის მიერ მათი ხელყოფის დროს. ადვოკატს

---

<sup>21</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N025/11.

ორმაგად მოეთხოვება კანონიერების ფარგლებში მოქმედება, რადგან თავად იყოს მაგალითი საზოგადოებისათვის<sup>22</sup>.

ამდენად, სასურველია ეთიკის კომისიის პრაქტიკა შეიცვალოს ამ მიმართულებით, პროფესიული სტანდარტი ამაღლდეს და აღნიშნული დარღვევა მოექცეს ადვოკატის კეთილსინდისიერად და კანონიერების ფარგლებში მოქმედების ვალდებულების ქვეშ.

#### (4) დასკვნა

კანონი პირდაპირ განსაზღვრავს საქართველოში მომსახურების განმახორციელებელი სუბიექტების მიმართ შეთავაზებისა და ანგარიშსწორებისათვის დადგენილ ვალუტას - ლარს და აწესებს პასუხისმგებლობას მსგავსი წესის დამრღვევების მიმართ.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი სადვოკატო საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად ადგენს კანონიერების პრინციპს, რომლის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება ეკისრება ადვოკატს. ამავე კანონით დადგენილია ადვოკატის კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება.<sup>23</sup> ეთიკის კომისიის უახლესი პრაქტიკით, უცხოურ ვალუტაში მომსახურების ფასის შეთავაზება, ისევე როგორც ანგარიშსწორება არღვევს კანონიერების პრინციპს და ადვოკატის კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებას.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი უცხოურ ვალუტაში შესთავაზებს და აიღებს ჰონორარს, შესაძლოა დადგეს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი არაკეთილსინდისიერად მოქმედების საფუძველით, რადგან კანონის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს მომსახურების ფასის განსაზღვრა და ანგარიშსწორების განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

---

<sup>22</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #093/17.

<sup>23</sup> იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 3(ა), 5(ა).

## IV. ჰონორარის ოდენობის გონივრულობა

პრაქტიკაში ხშირია ადვოკატ-კლიენტს შორის დავა ჰონორარის ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით. საქმის შედეგით ან/და ადვოკატის მომსახურებით უკმაყოფილო კლიენტი ჰონორარის ოდენობის გონივრულობაზეც ამხვილებს ყურადღებას და იწყებს ადვოკატის წინააღმდეგ დავას სასამართლოში ან/და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში. ადვოკატის ჰონორარის ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით, ადვოკატთა პროფესიის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მოცემულ თავში საუბარი იქნება როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროგაერთიანების ქცევის კოდექსებით დადგენილ სტანდარტებზე ჰონორარის ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით.

### 1. საქართველოს კანონმდებლობა

2012 წლამდე, ეთიკის კოდექსში არსებობდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრებოდა ჰონორარის ოდენობის გონივრულობა. კოდექსი პირდაპირ განსაზღვრავდა წესებს, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ ადვოკატებს ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას. იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ განსაზღვრული ჰონორარის ოდენობა ჩათვლილიყო გონივრულად, ის შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საქმის სირთულესთან, მოცულობასთან, საქმის შესრულების ხანგრძლივობასთან, კვალიფიკაციასთან, ხოლო ქონებრივი დავების შემთხვევაში - დავის საგნის (სარჩელის ფასის) ღირებულებასთან და მნიშვნელობასთან და ა.შ.<sup>24</sup>. ეს ნორმა ჰონორარის ოდენობის გონივრულობის შეფასების მეტად ფართო და სუბიექტურად შეფასებით კრიტერიუმებს განსაზღვრავდა.

თავისუფალი ბაზრის პირობებში არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, 2012 წელს ეს ნორმა შეიცვალა და მას მერე ადვოკატს აქვს მინიჭებული დისკრეცია თავად განსაზღვროს ჰონორარის რა ოდენობა იქნება გონივრული ამა თუ იმ საქმისათვის. კლიენტთან შეთანხმებული ჰონორარის ოდენობის გონივრულობის საკითხის შეფასება, 2012 წლის ცვლილებების შემდეგ აღარ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ეთიკის კომისიის მიერ მთავარ შესაფასებელ ნაწილად რჩება ჰონორარის ოდენობისა და მისი გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის წინასწარ

<sup>24</sup> იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8 (2006 წლის ვერსია).

ინფორმირება და მისგან თანხმობის მოპოვება<sup>25</sup>. სხვა მხრივ, ეთიკის კომისია აღარ იჭრება ადვოკატის დისკრეციამი, თავად განსაზღვროს მისთვის და მისი კლიენტისათვის მისაღები ჰონორარის ოდენობა და აღარ აფასებს მის გონივრულობას.

## 2. აშშ-ს კანონმდებლობა (ABA Model rules of Professional Conduct)

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მიერ 1969 წელს მიღებული პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური წესების (შემდგომში „მოდელური წესები“) თანახმად, ადვოკატის მიერ განსაზღვრული ჰონორარის გონივრულობის საკითხის განხილვა შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში, რადგან კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს იმ კრიტერიუმებს, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა ჰონორარის „გონივრული“ ოდენობის განსაზღვრისას. კერძოდ, მოდელური წესების თანახმად, ადვოკატმა არ უნდა მიიღოს „აშკარად ზედმეტი“ ჰონორარი მომსახურებისათვის. ჰონორარი „აშკარად ზედმეტია“ იმ შემთხვევებში, როდესაც ფაქტების გადასინჯვისას ადვოკატი, რომელიც გააზრებულად ფრთხილად მოქმედებდა, აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ ჰონორარი აღემატება მისაღებ თანხას<sup>26</sup>. ამავე წესების მიხედვით, საფასურის გონივრულობა/რაციონალურობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების მიხედვით (1) საჭირო დრო და სამუშაო, საკითხის ორიგინალურობა და სირთულე, იურიდიული მომსახურების სწორად წარმართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; (2) შესაძლებლობა იმისა (თუ ეს ნათელია კლიენტისათვის), რომ გარკვეული საქმიანობის მიღება შეაჩერებს ამ ადვოკატის სხვა საქმიანობას; (3) ამ რეგიონში მსგავსი იურიდიული მომსახურებისათვის მიღებული გადასახადი; (4) დახარჯული თანხა და მიღებული შედეგი; (5) დროითი შეზღუდვები, რომელიც გარკვეულმა გარემოებებმა ან თავად კლიენტმა გამოიწვია; (6) კლიენტთან პროფესიული ურთიერთობების ბუნება და ხანგრძლივობა; (7) იმ ადვოკატის ან ადვოკატების გამოცდილება, რეპუტაცია და უნარი, რომლებმაც განახორციელეს იურიდიული მომსახურება; და (8) გადასახადი იყო ფიქსირებული თუ პირობითი.<sup>27</sup> შესაბამისად, რადგან ამერიკაში, ეთიკის მარეგულირებელ კანონმდებლობაში პირდაპირ არის მითითებული ის კრიტერიუმები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა ჰონორარის გონივრული ოდენობის განსაზღვრისას, ეთიკის კომისია

<sup>25</sup> იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.8 (2012 წლის ვერსია).

<sup>26</sup> იხ. ჩამერიკის იურისტთა ასოციაცია, პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური წესები (1969), წესი #2-106(a.b.).

<sup>27</sup> იხ. ჩამერიკის იურისტთა ასოციაცია, პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური წესები (1969), წესი #2-106.



უფლებამოსილია იმსჯელოს ამ საკითხზე და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი დისციპლინური ზომები გადაცდომის ჩამდენი ადვოკატის მიმართ.

### 3. ევროგაერთიანების კანონმდებლობა (CCBE)

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს (CCBE) მიერ 1988 წელს მიღებული ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (შემდგომში „ევროგაერთიანების კოდექსი“) ანალოგიურად აფასებს ადვოკატის მიერ ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას გონივრულობას. კერძოდ, ევროგაერთიანების კოდექსი ადგენს, რომ ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარი სრულად უნდა გაუმჟღავნდეს კლიენტს და უნდა იყოს „სამართლიანი“ და „ზომიერი“<sup>28</sup>. თუ ადვოკატი მისი ჰონორარის ანგარიშზე ან/და ხელზე გადახდას მოითხოვს, ამგვარმა გადახდამ არ უნდა გადააჭარბოს ჰონორარის ზომიერ ოდენობას და შეესაბამებოდეს სავარაუდო გადახდას.<sup>29</sup>

როგორც ნორმების შინაარსიდან ირკვევა, ევროგაერთიანების კოდექსი, მართალია აწესებს ჰონორარის გონივრულობის სავალდებულობას, თუმცა მოდელური წესებისაგან განსხვავებით, არ გთავაზობს გონივრულობის შეფასების ჩამონათვალს და არ ადგენს ჰონორარის ოდენობის გონივრულობის შეფასებისას სამართლიანობისა და ზომიერების განსაზღვრის კრიტერიუმებს.

### 4. დასკვნა

ამდენად, ჰონორარის გონივრულობის საკითხი სხვადასხვაგვარად წესრიგდება საქართველოს, ამერიკასა და ევროგაერთიანებაში არსებული პროფესიული ქცევის სტანდარტების მარეგულირებელი კანონმდებლობით. 2012 წლამდე, საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებდა გონივრულობის შეფასების კრიტერიუმებს, თუმცა დღეის მდგომარეობით, ეს ნორმა უკვე აღარ მოქმედებს. 2012 წელს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე, ეთიკის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას, აღარ

---

<sup>28</sup> იხ. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) 1988, მუხლი 3.4.1.

<sup>29</sup> იხ. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) 1988, მუხლი 3.5.

არსებობს კანონმდებლობაში „ზედმეტად მაღალი“, „შეუსაბამო“ ან მსგავსი შეფასებითი კრიტერიუმები და ადვოკატს სრული ავტონომია აქვს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს მისთვის და მისი კლიენტისათვის მისაღები ჰონორარის ოდენობა და

## V. მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება, რომელიც ადვოკატს აკისრია კლიენტთან ურთიერთობისას, არის მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის წინასწარი ინფორმირება. „მოსალოდნელი ხარჯები“ - ეს არის ჰონორარის მიღმა არსებული ისეთი ტიპის ხარჯები, რომელიც უკავშირდება კლიენტის საქმის წარმოებას. მაგალითად, სახელმწიფო ბაჟი, სანოტარო მომსახურების საფასური, ადმინისტრაციული ორგანოებიდან დოკუმენტაციის გამოთხოვის/ქონების რეგისტრაციის ან სხვა მომსახურებისათვის დადგენილი საფასური, ექსპერტიზის საფასური, დოკუმენტაციის გადათარგმნის საფასური, ტრანსპორტის საფასური, ფოსტის საფასური და სხვა დანარჩენი ხარჯი, რომელიც უკავშირდება კლიენტის საქმის წარმოებას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა განსაზღვრავს ადვოკატის ვალდებულებას წინასწარ მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია მისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.<sup>30</sup> ბუნებრივია, ეს ნორმა არ ავალდებულებს ადვოკატს ზუსტად განსაზღვროს ყველა ის ხარჯი, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს კლიენტის საქმეს, ეს შეუძლებელიც არის. თუმცა, ადვოკატს გააჩნია ვალდებულება წინასწარ განსაზღვროს ისეთი ხარჯები, რაც თავიდანვე ნათელია და აღნიშნული ინფორმაცია წარუდგინოს კლიენტს. მაგალითისათვის, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, ისევე როგორც სანოტარო, სათარჯიმნო, სატრანსპორტო ან საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი ხარჯები წინასწარ განსაზღვრადია.

„ადვოკატს პროფესიული რეგულაცია ავალდებულებს, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოხმარდება კლიენტის მიერ გადახდილი თანხა... კომისიის შეფასებით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდა ინფორმაცია თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და შემდეგ წარუდგინა ანგარიშგება, ეკისრება ადვოკატს.“<sup>31</sup>

„ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება მისი საქმის წარმოების შესახებ და, ბუნებრივია, ასეთი

<sup>30</sup> იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2; ასევე, იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6.

<sup>31</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #084/13.

განმარტების შედეგად, თუკი მისაღებია კლიენტისათვის, საბოლოოდ შედგება თანხმობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ დაცვასთან, რადგან კლიენტმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რამდენად შეწვდება ის ფინანსურად სამართლებრივ მომსახურებას, რომელსაც ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული იურიდიული ინტერესის მისაღწევად. კლიენტისათვის მოსალოდნელი ხარჯების შესახებ ინფორმაციის, დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.<sup>32</sup>

ჰონორარის ოდენობისა და მინდობილი თანხის გამიჯვნის მნიშვნელობაზე იმსჯელა ასევე ეთიკის კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ „ადვოკატმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა და მისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს მოსალოდნელი ხარჯების ოდენობა, რადგან ჰონორარი წარმოადგენს ადვოკატის საკუთრებას, ხოლო ხარჯების სახით კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხა წარმოადგენს კლიენტის და არა ადვოკატის საკუთრებას, რის გამოც ამ თანხების - მინდობილი თანხების მიმართ ეთიკის კოდექსი განსაკუთრებულ ვალდებულებებს აწესებს ადვოკატისათვის“<sup>33</sup>.

საინტერესოა რატომ ანიჭებს კანონმდებელი ამხელა მნიშვნელობას ამ ტიპის ინფორმაციის წინასწარ მიწოდებას კლიენტისათვის. ეთიკის კომისიამ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და მიუთითა, რომ ამ ინფორმაციის კლიენტისათვის წინასწარ მიწოდება მნიშვნელოვანია სამი ძირითადი ფაქტორის გამო: „1) თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება გააგრძელოს თუ არა მისი საქმისწარმოება სასამართლოში, რადგან შესაძლოა ხარჯმა გადააჭარბოს მისაღებ სარგებელს; 2) თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, რაც დაზოგავს მის ფინანსებს; და 3) თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მოურიგდეს თუ არა მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები. ამ ნორმის არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ კლიენტს წინასწარ უნდა მიეცეს საშუალება მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმის წარმოების შესახებ. შესაბამისად, მოცემული ნორმის დაცვა, ადვოკატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც, როგორც საპროცესო ეკონომიურობიდან, ასევე კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარეობს“<sup>34</sup>.

<sup>32</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #103/18.

<sup>33</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #125/18.

<sup>34</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #098/17.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც იმსჯელა მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულებაზე, რომელიც ადვოკატს აკისრია და ამ ინფორმაციის „დროულად და კვალიფიციურად“ მიწოდება დაუკავშირა „კეთილსინდისიერების პრინციპს“<sup>35</sup>.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა ზედმიწევნით დაიცვას ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რათა არ დაზარალდეს კლიენტის ინტერესები და კლიენტს მიეცეს საშუალება მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები მისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. ამასთან, მითითებული ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს ადვოკატის დისციპლინირების ერთ-ერთ საფუძველს.

---

<sup>35</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1161-1116-2016.

## VI. მინდობილი თანხები და მასთან დაკავშირებული ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებები

მას შემდეგ, რაც ადვოკატი შეასრულებს პროფესიული ეთიკის ნორმებით გათვალისწინებულ მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის წინასწარი ინფორმირების ვალდებულებას, კლიენტი ცალკე, ჰონორარისაგან დამოუკიდებლად გადასცემს ადვოკატს, მისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ხარჯებისათვის გათვალისწინებულ თანხას. ეს თანხა წარმოადგენს სწორედ „მინდობილ თანხას“, რომელთან დაკავშირებითაც ეთიკის კოდექსი სპეციალურ წესებს ადგენს ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებიდან გამომდინარე. ამ თავში მიმოხილული იქნება მინდობილი თანხები, მისი კუთვნილება, გაკარგვის უფლებამოსილება და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელიც ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე აკისრია.

### (1) მინდობილი თანხების კუთვნილება

მინდობილი თანხების მესაკუთრე არის კლიენტი. სწორედ აქედან გამომდინარე განისაზღვრება ადვოკატის ფიდუციური ვალდებულება განსაკუთრებული გულისხმიერებით იმოქმედოს მინდობილ თანხებთან მიმართებით. ფინანსებთან დაკავშირებულ ფიდუციურ ვალდებულებათაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ მინდობილი თანხების დამოუკიდებელ, ნეიტრალურ ანგარიშზე განთავსების ვალდებულება.

### (2) მინდობილი თანხების განთავსებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

ნებისმიერი ფულადი სახსრები, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად.<sup>36</sup> რას ნიშნავს დამოუკიდებელი/ნეიტრალური ანგარიში? ხშირ შემთხვევაში, ამ ვალდებულების შესრულების მიზნით, ადვოკატი ბანკში, მის სახელზე ხსნის ცალკე ანგარიშს (მიმდინარე/სახელფასო ანგარიშს) კლიენტების მინდობილი თანხების განსათავსებლად, რაც არ ითვლება

<sup>36</sup> იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13.

დამოუკიდებელ/ნეიტრალურ ანგარიშად და შესაბამისად წარმოადგენს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

ანალოგიურ შეზღუდვას ითვალისწინებს ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ქცევის მოდელური წესებიც. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ ვალდებულების შესრულებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მისი დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატს საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი. ერთ-ერთ დისციპლინური საქმეში, მხოლოდ იმის გამო, რომ ადვოკატმა კლიენტის ნებართვის გარეშე მოხსნა სადეპოზიტო ანგარიშებიდან კლიენტის კუთვნილი თანხა და მალევე უკან დააბრუნა, მოხდა მისი დისციპლინირება და სახდელის სახით განესაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა<sup>37</sup>.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ამ მავალდებულებელი ნორმის მიზანი არის ის, რომ ადვოკატის პირადი ფინანსური ვალდებულებები (მაგ. იპოთეკა, გირავნობა, იძულებითი აღსრულება და ა.შ.) არ გავრცელდეს კლიენტის საკუთრებაში არსებულ თანხებზე, რომელიც მინდობილია ადვოკატზე. სწორედ ამ მიზნით, იმისათვის რათა დაცული იყოს კლიენტის ქონება, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება მინდობილი თანხები განათავსოს არა პირად, არამედ დამოუკიდებელ/ნეიტრალურ ანგარიშზე. ადრე მხოლოდ ნოტარიუსები სარგებლობდნენ ნეიტრალური ანგარიშებით, დღეს საბანკო სფერო ადვოკატებსაც სთავაზობს მსგავს მომსახურებას, რომელსაც „ესქრო ანგარიშები“ ეწოდება.

ესქრო მომსახურების დროს ფული, ფინანსური ინსტრუმენტი ან აქტივი, ხელშეკრულების მხარეების მითითებით, არის მესამე მხარის მფლობელობაში, სანამ მესამე მხარე - ესქრო აგენტი, არ მიიღებს მხარეებისგან მითითებას მათ გადაცემაზე, ან არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. ესქრო მომსახურების მიღება შესაძლებელია ესქრო აგენტის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ნენისმიერი კომერციული ბანკი. ესქრო მომსახურების მიღება შეუძლიათ როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე ორგანიზაციულ წარმონაქმნებს, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები<sup>38</sup>.

ადვოკატს შეუძლია გახსნას ასეთი ტიპის ანგარიში, რომელსაც გამოიყენებს საადვოკატო საქმიანობის პროცესში მისი კლიენტებისაგან მიღებული მინდობილი თანხების განსათავსებლად. ამით არა მხოლოდ თავიდან აიცილებს დისციპლინურ

---

<sup>37</sup> იხ. IN RE ARNOLD M. WARHAFTIG, DRB, 524 A.2d 398 (N.J. 1987); იხ. ასევე IN RE JOHN M. ROSELLINI, DRB, 646 P.2d 122 (Wash. 1982).

<sup>38</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=660> [07.02.19].

პასუხისმგებლობას, არამედ კლიენტის ქონებასაც დაიცავს, რაც საბოლოო ჯამში მოემსახურება იმ ძირითადი მიზნის მიღწევას, რასაც ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს - საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემა და ნდობის გაღრმავება.

### (3) მინდობილი თანხების განკარგვის უფლებამოსილება

მინდობილი თანხების განკარგვის უფლებამოსილებას კლიენტი ანიჭებს ადვოკატს, რათა გაუადვილოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელება და ეს პროცესი არ გაჭიანურდეს. მართალია ადვოკატი არის ამ თანხების უშუალო მფლობელი და განმკარგავი, თუმცა მინდობილ თანხებზე საკუთრების უფლება ბოლომდე უნარჩუნდება კლიენტს.

### (4) მინდობილი ქონების კეთილსინდისიერი მართვის ვალდებულება

გარდა თანხებისა, კლიენტმა, საქმისწარმოების პროცესში ადვოკატს შესაძლოა მიანდოს ქონებაც, რომელზეც ანალოგიური რეგულაციები ვრცელდება.<sup>39</sup> კერძოდ, ამ ქონების ადვოკატის ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვისა და მისი კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება.

ადვოკატისაგან კლიენტის ქონების დაცვა, ადვოკატის ფიდუციური ვალდებულების ერთ-ერთი ასპექტია<sup>40</sup>.

კლიენტის ქონებისადმი გულისხმიერი მოპყრობის ვალდებულების (ფიდუციური ვალდებულების) დამრღვევი ადვოკატი პოტენციურად, მომავალი კლიენტებისათვისაც წარმოადგენს საფრთხეს. ამიტომაც, ასეთი ტიპის დარღვევების შემთხვევებში, ტრადიციულად, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით გამოიყენება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევა<sup>41</sup>.

არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ეთიკის კომისია ადვოკატის ფიდუციური ვალდებულების დარღვევას, თუმცა ამ საფუძვლით საქართველოს ადვოკატთა

<sup>39</sup> იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13.

<sup>40</sup> იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 38.

<sup>41</sup> იხ. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა, ვაშინგტონი, 2009, 40.



ასოციაციის წევრობის შეწყვეტა (ლიცენზიის ჩამორთმევა), როგორც სახდელის ფორმა, ჯერ არ გამოყენებულა საქართველოში ლიცენზირებული არც ერთი ადვოკატის მიმართ.

„კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქონების მინდობისას, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების კეთილსინდისიერი მართვა და მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა ეფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული“<sup>42</sup>. აღნიშული მსჯელობა სრულად გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რითაც ძალაში დატოვა ეთიკის კომისიის 2012 წლის 18 ივნისის გასაჩივრებული გადაწყვეტილება<sup>43</sup>.

კლიენტის მიერ მინდობილი ქონების კეთილსინდისიერ მართვასთან დაკავშირებით იმსჯელა ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.13 მუხლით განსაზღვრული „ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია, რომ კლიენტმა მიანდოს ქონება ადვოკატს და ეს მინდობა უკავშირდებოდეს ადვოკატის მიერ თავისი პროფესიული ფუნქციის განხორციელებას. ნორმის გამოყენების წინაპირობების დადგენა შედარებით მარტივია, როდესაც ქონება უშუალოდ დავის საგანია, ან უკავშირდება დავის საგანს. წინაპირობების შემოწმება უფრო რთულია, როდესაც ქონება არ არის დავის საგანთან კავშირში“<sup>44</sup>.

„ადვოკატს ბუნებრივად აქვს კლიენტის მხრიდან მაღალი ნდობა. ადვოკატისადმი ნდობა შეიძლება განაპირობებდეს, როგორც საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ კლიენტის გადაწყვეტილებების მიღებას კლიენტის მხრიდან, ასევე საადვოკატო მომსახურების გარეთაც ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც ასეთი სპეციფიკური ნდობით არსებობის გარეშე, არ იქნებოდა მიღებული კლიენტის მხრიდან. ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს, ადვოკატისათვის ქონების მინდობა, რომელსაც უცხო პირს, შესაბამისი სახელშეკრულებო დაცვის გარეშე კლიენტი არ მიანდობდა. შედეგად, როდესაც ქონება

---

<sup>42</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #004/12.

<sup>43</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/5-14.

<sup>44</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებას, საქმე # 096/18.

უმუალოდ არ არის დავის საგანი, იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად გამომდინარეობს ან დაკავშირებულია ქონების მინდობა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობასთან, შესაძლოა ლოგიკური უარყოფის კონსტრუქციის გამოყენება: მიანდობდა კლიენტი ადვოკატს ქონებას იმ პირობებში, როდესაც ეს პირი არ იქნებოდა მისი ადვოკატი და შესაბამისად, ნდობით აღჭურვილი პირი, სხვა წინაპირობების არარსებობისას, როგორც შეიძლება იყოს ახლო ნათესაობა, მეგობრობა, პროფესიული საქმიანობა, რომელიც ქონების მართვას ან შენახვას უკავშირდება? თუ შეკითხვაზე პასუხია არა, ეს ნიშნავს, რომ კლიენტის ქონების მინდობით ადვოკატს წარმოემგება 8.13 მუხლიდან გამომდინარე შემდეგი პროფესიული ვალდებულებულებები ქონებასთან მიმართებით: ცალკე შეინახოს ქონება და მართოს ის კეთილსინდისიერად.“<sup>45</sup>

ამავე გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ ასევე განმარტა მინდობილი ქონების კეთილსინდისიერად მართვა. კერძოდ, ეთიკის კომისიის პრაქტიკით, „კეთილსინდისიერება გულისხმობს, რომ ქონების მართვის სახე უნდა იყოს გონივრულად მიღებული და შეთანხმებული ქონების მიმდობთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებას ემუქრება მყისიერი საფრთხე და ობიექტურად შეუძლებელია თანხმობის მიღება. ადვოკატს ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, მიეღო კლიენტისგან თანხმობა, რომ ის და მისი ძმა ისარგებლებდნენ მანქანით. აღნიშნული ადვოკატს არ განუხორციელებია. თუნდაც რომ ჩაითვალოს, რომ ავტომანქანით გადაადგილება ქონების დაცვის ინტერესით იყო განპირობებული, კეთილსინდისიერი მართვა გამორიცხებულია, როდესაც ქონების გამოყენება ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩასადენად - კანონის დარღვევით განხორციელებული პარკირებით. კეთილსინდისიერი მართვა ასევე გამორიცხებულია, როდესაც ხდება ადვოკატის მინდობაში არსებული ქონების დაზიანება და ადვოკატს არ წარმოუდგენია კანონით დადგენილი წესით გაფორმებული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მას ბრალი არ მიუძღვის ქონების დაზიანებაში. შედეგად სავარაუდოა, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია ასევე ქონების კეთილსინდისიერად მართვის პრინციპი“<sup>46</sup>.

ამდენად, ეთიკის კომისიის პრაქტიკით, მინდობილი ქონება ფართოდ განიმარტება და უკავშირდება არა მხოლოდ დავის საგანს, არამედ სხვა ქონებასაც, რომელიც კლიენტმა ადვოკატს მიანდო წარმომადგენლობის პროცესში მის მიმართ

---

<sup>45</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებას, საქმე # 096/18.

<sup>46</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე # 096/18.

არსებული ნდობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ ქონებაზეც ვრცელდება ადვოკატის მიმართ პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კეთილსინდისიერად მართვის ფიდეუციური ვალდებულება. ასევე, ეთიკის კომისიის პრაქტიკით განმარტებულია კეთილსინდისიერების არსი მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს ქონების გონივრულად მართვასა და ქონების მართვის ფორმის შეთანხმებას კლიენტთან.

## (5) ხარჯთაღრიცხვის წარმოება

ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება.<sup>47</sup> ადვოკატის ფიდეუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს სწორედ მინდობილი თანხებისა და ქონების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა. ეს ნორმა აწესებს ადვოკატის ვალდებულებას აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა მიუხედავად იმისა, კლიენტი ითხოვს თუ არა ამას. „ადვოკატის ქცევა, როდესაც ის არ აწარმოებს კლიენტისგან მიღებული თანხებისა და საქმის წარმოების ხარჯის შესახებ ჩანაწერებს, შეფასდება კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულების დარღვევად. ადვოკატის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოების შესახებ ვალდებულების შესრულება არ არის დაკავშირებული კლიენტის მოთხოვნასთან. მიუხედავად კლიენტის მოთხოვნისა, ადვოკატს საწმისწარმოების პროცესში ევალება აღნიშნული ფიდეუციური ვალდებულების შესრულება“<sup>48</sup>. ამდენად, ეს ვალდებულება წარმოიშობა არა კლიენტის მოთხოვნიდან, არამედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების მომენტიდან.

ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულებაზე იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, და განმარტა, რომ „საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი“ ჩანაწერის წარმოების ვალდებულება გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე

<sup>47</sup> იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.13.

<sup>48</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე 125/18.

ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი დოკუმენტის წარმოებას<sup>49</sup>.

ამავე გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა მტკიცების ტვირთზე და განმარტა, რომ „ფინანსური ანგარიშგების სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების“ ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს<sup>50</sup>.

„კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და სხვ.) წარმოებას.“<sup>51</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკიხს ამ გადაწყვეტილებაშიც შეეხო და განმარტა, რომ „საჩივრის ავტორს არც ეთიკის კომისიაში და არც სადისციპლინო პალატაში არ წარმოუდგენია მიღებული თანხების მიზნობრიობის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის მიერ გადაცემული საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება“<sup>52</sup>.

ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულებაზე იმსჯელა ეთიკის კომისიამ 2015 წლის გადაწყვეტილებაშიც და განმარტა, რომ „კლიენტისათვის საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას“<sup>53</sup>.

„ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრების, საგადასახადო დავალებები, ცნობები და ა.შ.) სათანადოდ წარმოებას. ასევე, თანხის

---

<sup>49</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/5-14.

<sup>50</sup> იხ. იქვე.

<sup>51</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/1-17.

<sup>52</sup> იხ. იქვე.

<sup>53</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #133/13.

გადაცემის შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას.“<sup>54</sup>

შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიდუციური ვალდებულებაა, რომელიც ადვოკატს აკისრია საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას. ამ ვალდებულების წარმოშობა არ არის დამოკიდებული კლიენტის მოთხოვნაზე. ადვოკატს კლიენტთან ურთიერთობის დაწყების მომენტიდან წარმოეშობა ეს ვალდებულება, რომელიც კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, რათა კლიენტში არ გაჩნდეს ეჭვი მისი თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით, რაც საბოლოო ჯამში არა მხოლოდ ამ ადვოკატის რეპუტაციას, არამედ მთლიანად ადვოკატთა ასოციაციის პროფესიას მიაყენებს ზიანს.

---

<sup>54</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #012/16.

## VII. ჰონორარის რეგულირება საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას

ადვოკატებს შორის ყველაზე დიდ ინტერესს იჩენს ჰონორარის რეგულირების საკითხი კლიენტის ან თავად ადვოკატის ინიციატივით საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში. ამ საკითხს არეგულირებს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი. მოცემულ თავში საუბარი იქნება საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას ადვოკატის ისეთ ვალდებულებებზე, როგორც არის: (1) გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნება; (2) პროპორციული ოდენობის განსაზღვრა; (3) დაუხარჯავი მინდობილი თანხების ან სხვა ქონების დაბრუნება; და (4) საქმის მასალების დაბრუნება.

### (1) გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნება

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატი ვალდებულია კლიენტს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი ჰონორარი. ამასთან, მნიშვნელოვანია არ აქვს იმ გარემოებას თუ ვისი ინიციატივით წყდება ხელშეკრულება ადვოკატის თუ კლიენტის და რა საფუძველი უდევს მას. ეთიკის კოდექსი უთითებს „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას“ ადვოკატის გარკვეულ ვალდებულებებზე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15). კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტა კი შესაძლოა განხორციელდეს როგორც კლიენტის, ასევე ადვოკატის ინიციატივით, ამისათვის ყოველგვარი მიზეზის არსებობის გარეშე. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა ასევე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და განმარტა, რომ „მითითებული ნორმით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება, როგორც კლიენტის, ისე ადვოკატის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე“<sup>55</sup>. შესაბამისად, ეთიკის კოდექსი, ამ თავში მიმოხილული ვალდებულებების განსაზღვრისას, მოიაზრებს ორივე მხარის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებს.

„ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ხელშეკრულების ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც ადვოკატი უარს აცხადებს ჰონორარის ნაწილის დაბრუნებაზე

<sup>55</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-მ/5-14.

ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს და არ ათავისუფლებს ადვოკატს გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულებისაგან<sup>56</sup>.

გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებისა და სამოქალაქო კანონმდებლობით განმტკიცებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ურთიერთმიმართებაზე იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წელს და დაადგინა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს, სახელშეკრულებო დათქმა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესების თანახმად, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად (სკ-ის 715.1 მუხლი), მათ შორის წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისათვის ანაზღაურების სახით გადახდილი საფასურის თანხის ის ნაწილი, რომელიც ეხება გაუწეველი მომსახურების ღირებულებას. სადისციპლინო კოლეგია ადვოკატის ქცევის სტანდარტის დაცულობის შემოწმებისას არ არის შებოჭილი მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ტექსტით. პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა<sup>57</sup>.

ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ გამორიცხავს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას, ნებისმიერი მხარის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობა. ამასთან, გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს ადვოკატი, თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ ადვოკატს შეუძლია ნებისმიერი ოდენობის თანხა დაუბრუნოს კლიენტს და ამით „ფორმალურად“ დაიცვას ეთიკის კოდექსის მოთხოვნები. მნიშვნელოვანია, რომ

<sup>56</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #101/17.

<sup>57</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16. 21.11.2016.

ადვოკატი კეთილსინდისიერად მოქმედებდეს გამოუმუშავებელი ჰონორარის განსაზღვრისას და მის მიერ გაწეული მომსახურების პროპორციული ოდენობა დაუბრუნოს კლიენტს.

## (2) პროპორციული ოდენობის განსაზღვრა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას, მნიშვნელოვანია ადვოკატმა განსაზღვროს გამოუმუშავებული ჰონორარის პროპორციული ოდენობა, დაუხარჯავი მინდობილი თანხები, გამოაკლოს ეს თანხები კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მთლიანობაში გადაცემულ თანხას (ჰონორარის და მინდობილი თანხების ჩათვლით) და დანარჩენი ნაწილი დაუბრუნოს კლიენტს. სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით ეთიკის კომისიას არ აქვს ერთგვაროვანი პრაქტიკა. კერძოდ, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში<sup>58</sup> ეს ვალდებულება განმარტებულია ფორმალურად და თუ ადვოკატის მიერ შესრულებული იქნება თანხის დაბრუნების ვალდებულება, თუნდაც 1 ლარის, ეთიკის კომისია აღარ შედის არსებითად იმის განხილვაში თუ რამდენად პროპორციული იყო ადვოკატის მიერ კლიენტისათვის დაბრუნებული გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობა. მაშინ, როდესაც ბოლო წლებში, ეთიკის კომისიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში ეს ვალდებულება არ არის განმარტებული ფორმალურად, და ნორმის მიზნიდან გამომდინარე ეთიკის კომისია ადვოკატის მიერ ამ ვალდებულების შესრულებას არა მხოლოდ ფორმალურ დაბრუნებას უკავშირებს, არამედ დაბრუნებული ჰონორარის პროპორციულობის საკითხზეც მსჯელობს და თუ ეს თანხა აშკარად არაპროპორციულია, ადგენს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის და დაუბრუნოს კლიენტს ის თანხა, რომელიც მას არ გამოუმუშავებია იმ მიზნისთვის, რისთვისაც კლიენტმა გადასცა“<sup>59</sup>.

„კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი ადვოკატის მომსახურებაზე და ადვოკატს წარმოეშობა ეთიკური ვალდებულება - სავარაუდო

<sup>58</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #057/17.

<sup>59</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #015/18.



თანხა, რაც შეიძლება ექვივალენტური იყოს მის მიერ გაწეული მომსახურებისა, გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი დაუბრუნოს კლიენტს<sup>60</sup>.

„თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მხოლოდ ფორმალურად, ნებისმიერი თანხის ოდენობის დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და შესაძლოა კვლავ იკვეთებოდეს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა.“<sup>61</sup>

ეთიკის კომისიამ ერთ-ერთი გადაწყვეტილებაში ადვოკატის მიერ გამოთვლილი ჰონორარი მიიჩნია „არაგონივრულად“ და „არაპროპორციულად“ და მიუთითა შემდეგი, „ადვოკატს, რომ შეესრულებინა ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტი - მიეწოდებინა კლიენტისათვის ზუსტი და დეტალური ინფორმაცია მისთვის ჰონორარის სახით გადაცემული თანხის სანაცვლოდ მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, ეწარმოებინა სრული და ზუსტი ჩანაწერები კლიენტის მიერ გადაცემულ თანხასთან დაკავშირებით, ადვოკატი შეძლებდა მარტივად და გონივრულად გამოეთვალა თავისი ჰონორარი და შესაძლოა მხარეთა შორის დავა ისე მოგვარებულიყო, რომ კლიენტს ადვოკატის გამოუმუშავებელი ჰონორარის დასაბრუნებლად სასამართლოსთვის მიმართვა არ დასჭირვებოდა“<sup>62</sup>. ამდენად, ეთიკის კომისიის პრაქტიკით, ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების შესრულებაზე მსჯელობისას, ეთიკის კომისია აფასებს ადვოკატის მიერ განსაზღვრული ოდენობის პროპორციულობას და ფორმალურად არ განმარტავს პროფესიული ეთიკის კოდექსში გათვალისწინებულ ნორმას.

---

<sup>60</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #101/17.

<sup>61</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #035/18, ასევე იხ. ეთიკის კომისიის წევრის განსხვავებული მოსაზრება, საქმეზე N057/17; ასევე იხ. ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე 098/17.

<sup>62</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #093/17.

ამასთან, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროპორციულობის განსაზღვრა, არამედ ასევე პროპორციულობის დასაბუთება. ამისათვის კი აუცილებელია ადვოკატმა სწორად განსაზღვროს ჰონორარი, მისი გამოთვლის წესი, შეაფასოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და გამოითვალოს კლიენტისათვის დასაბრუნებელი თანხის პროპორციული ოდენობა. „ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში.“<sup>63</sup> ამდენად, ადვოკატმა აბსტრაქტულად არ უნდა განსაზღვროს კლიენტისათვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობა. კლიენტისათვის ნათელი უნდა იყოს თუ საიდან გამოიანგარიშა ადვოკატმა მისთვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობა და არ უნდა გაუჩნდეს ეჭვი ადვოკატის მიერ დასაბრუნებელი თანხის პროპორციულობის სამართლიანად განსაზღვრაში.

### (3) დაუხარჯავი მინდობილი თანხების ან სხვა ქონების დაბრუნება

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, ადვოკატს ასევე ეკისრება კლიენტისათვის დაუხარჯავი მინდობილი თანხების დაბრუნების ვალდებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15). ეს ვალდებულება გარკვეულწილად უკავშირდება ადვოკატის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოების მოვალეობას (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.14), რადგან სწორედ ამ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში ხდება შესაძლებელი დაუხარჯავი მინდობილი თანხების ოდენობის ზუსტი განსაზღვრა. გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ მინდობილი თანხები არის კლიენტის საკუთრება, ურთიერთობის შეწყვეტისას, ბუნებრივია, ადვოკატს წარმოეშობა ამ თანხებიდან იმ ნაწილის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება, რომელიც საქმისწარმოების პროცესში არ/ვერ დაიხარჯა. კლიენტისათვის არ უნდა იყოს ბუნდოვანი ინფორმაცია მისი კუთვნილი თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით. ადვოკატის მიერ აღნიშნული ფიდუციური ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ კონკრეტული კლიენტის ინტერესებისათვის, არამედ, ზოგადად, საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემისა და ნდობის გაღრმავებისათვის.

---

<sup>63</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16.

#### (4) საქმის მასალების დაბრუნება

გარდა გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის და დაუხარჯავი მინდობილი თანხების დაბრუნების ვალდებულებისა, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატს ეკისრება ვალდებულება დაუბრუნოს კლიენტს საქმის მასალები. კერძოდ, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა ის დოკუმენტი/ნივთი, რომელიც საქმისწარმოებისას მოიპოვა, ან თავად შექმნა. დაუშვებელია ადვოკატმა განახორციელოს მანიპულირება კლიენტის საქმის მასალებით, თუნდაც არსებობდეს ამის ლეგიტიმური მიზანი, მაგალითად, ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარის მიღება. ადვოკატს ეთიკის კოდექსი უწესებს საქმის მასალების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულებას საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას. იმ შემთხვევაში თუ კლიენტს არ აქვს შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მაგალითად არ აქვს გადახდილი ჰონორარი იმ მომსახურებისათვის, რაც ადვოკატმა უკვე გასწია, ამ შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია მისი მოთხოვნა სასამართლოს წინაშე დააყენოს და დააკისროს კლიენტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

„ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისას და შემდგომ, საქმის წარმოების მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია საქმის მასალები, რომელსაც კლიენტი ანდობს ადვოკატს, რაც თავისთავად, აღნიშნული ურთიერთობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც კლიენტის მიერ ადვოკატისადმი ნდობას ეფუძნება. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გადაცემული საქმის მასალები, აგრეთვე, საქმის თაობაზე ადვოკატის მიერ ნაწარმოები დოკუმენტაცია წარმოადგენს კლიენტის საკუთრებას და თავის მხრივ, ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობაა კლიენტს არ შეუზღუდოს საქმის მასალების ხელმისაწვდომობა, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ აღარ სურს კლიენტს ადვოკატმა განაგრძოს მისი საქმისწარმოება და ითხოვს საქმის მასალების დაბრუნებას. ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია დროულად უზრუნველყოს კლიენტისათვის მასზე მინდობილი დოკუმენტაციის გადაცემა, მითუმეტეს, თუ მასთან იმყოფება დოკუმენტაციების ორიგინალები, რომელთა

ადვოკატის მიერ დროულად დაბრუნებამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს კლიენტის სამომავლო ინტერესებზე.“<sup>64</sup>

საქმის მასალების დაბრუნების ვალდებულებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი. სამწუხაროდ, არც კანონმდებლობით და არც ეთიკის კომისიის პრაქტიკით დადგენილი არ არის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი ამ შემთხვევაში, თუმცა ლოგიკური ანალიზიდან გამომდინარე, საქმის მასალების, ისევე როგორც დაუხარჯავი მინდობილი თანხების, კლიენტის ქონებისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი ადვოკატის მხარეს იქნება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ადვოკატებმა, საკუთარი უფლებების დასაცავად, წინასწარ იზრუნონ ამ საკითხზე და მოიპოვონ მტკიცებულება (მაგალითად, კლიენტთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, გადახდის ქვითარი და ა.შ.), რომელიც მათი მხრიდან ამ ვალდებულების შესრულებას დაამტკიცებს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატის მიერ მასზე დაკისრებული ფიდუციური ვალდებულებების დაცვა მნიშვნელოვანია როგორც ამ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში, ასევე იმ ძირითადი მიზნის მიღწევაში, რასაც ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს - საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის გაღრმავებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, ადვოკატმა ზუსტად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ დააზიანოს კლიენტის ნდობა და კეთილსინდისიერად განახორციელოს მისი მოვალეობები.

ფინანსებთან დაკავშირებით ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ფიდუციურ ვალდებულებებზე<sup>65</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც იმსჯელა და განმარტა, რომ „აღნიშნული მოთხოვნების დაცვა ზედმიწევნით უზრუნველყოფს როგორც კლიენტის ნდობას ადვოკატის მიერ ფულადი სახსრების მართვისას, ასევე განაპირობებს ნდობას ადვოკატის პროფესიული ნიშნისადმი. მითითებულ ვალდებულებათა ნორმატიულ დონეზე დაცვა კი, თავისი არსით ემსახურება როგორც კლიენტის ინტერესების მაღალი ხარისხით წარმოჩინებას, ასევე განამტკიცებს სანდოობის უკეთეს ხარისხს კლიენტსა და მისი ინტერესების დამცველს შორის. აღნიშნულ ფორმის ურთიერთობა კი თავის მხრივ განაპირობებს სამართლებრივი ურთიერთობის ეფექტურობას“<sup>66</sup>.

<sup>64</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #015/18.

<sup>65</sup> იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.12, 8.13, 8.15.

<sup>66</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-მ/5-14.



## VIII. ეთიკის კომისიის კომპეტენცია თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში

მომჩივანების უმეტესი ნაწილი, ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენით ითხოვს არა მხოლოდ ადვოკატის დისციპლინირებას, არამედ იმ თანხის დაბრუნებას, რაც წარმომადგენლობის პროცესში გადასცეს ადვოკატს. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად<sup>67</sup>, ეთიკის კომისიის კომპეტენციაში შედის მხოლოდ ადვოკატის დისციპლინირება, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას თანხის გადახდა დააკისროს ადვოკატს.

„საპროცესო კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს, რომ ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია იმსჯელოს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების საფასურის დაბრუნების თაობაზე, რადგან აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას და არის სასამართლოს განსჯადი“<sup>68</sup>.

„საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარს აცხადებს აღნიშნულ ნაწილში საჩივრის ავტორის მოთხოვნის არსებითად განხილვაზე. მხარეს განემარტოს, რომ უფლება აქვს თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით“<sup>69</sup>.

„საჩივრის ავტორის მოთხოვნაზე, ადვოკატმა დაუბრუნოს მას მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაური, კომისია განმარტავს, რომ თანხის დაბრუნების თაობაზე ადვოკატის ეთიკური ვალდებულების დარღვევაზე მსჯელობა ეთიკის კომისიის უფლებამოსილებაში შედის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 ნაწილიდან გამომდინარე, მხოლოდ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, როდესაც ადვოკატს დასრულებული არ აქვს მომსახურება და წარმოეშობა ეთიკური ვალდებულებები გადაცემული „გამოუმუშავებელი“ ფულადი სახსრების კლიენტისთვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ დროს, ეთიკის კომისიამ შესაძლოა დაადგინოს ადვოკატის მიერ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული

<sup>67</sup> იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 28.10.

<sup>68</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #025/11.

<sup>69</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #026/17.

ვალდებულების დარღვევის ფაქტი და განახორციელოს ადვოკატის დისციპლინირება. იმ შემთხვევაში თუ ადვოკატმა დაასრულა კლიენტის მომსახურება, ხოლო კლიენტი ეთიკის კომისიაში მომსახურების ხარისხიდან ან დამდგარი შედეგიდან გამომდინარე აყენებს ადვოკატის მიერ მომსახურებისთვის მიღებული საზღაურის მისთვის დაბრუნების მოთხოვნას, აღნიშნული სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას და წარმოადგენს სასამართლოს წესით განსახილველ საკითხს. ამასთან, საქმის კლიენტისთვის სასურველი შედეგით დაუსრულებლობა არ წარმოშობს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას დაუბრუნოს მას შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ მიღებული თანხა. ამასთან, თანხის დაბრუნების მოთხოვნის ნაწილში, განემარტოს საჩივრის ავტორს, რომ მიმართოს სასამართლოს, რადგან აღნიშნული საკითხის განხილვა - ადვოკატისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში<sup>70</sup>.

„საპროცესო კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს, რომ ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია იმსჯელოს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების საფასურის დაბრუნების თაობაზე, რადგან აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას და არის სასამართლოს განსჯადი.“<sup>71</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის თანხის დაბრუნების თაობაზე მოთხოვნის განხილვა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეთიკის კომისია არ მსჯელობს ადვოკატის მიერ თანხის დაბრუნების საკითხზე. რადგან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში (მუხლი 8.15) პირდაპირ არის გაწერილი, რომ გამოუმუშავებელი ჰონორარის და დაუხარჯავი მინდობილი თანხების დაბრუნების, როგორც ადვოკატის ეთიკური ვალდებულების დარღვევა იწვევს ადვოკატის დისციპლინირებას. შესაბამისად, ეთიკის კომისია მსჯელობს თანხის დაბრუნების საკითხზე და ადგენს (ან არ ადგენს) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რის გამოც ახორციელებს ადვოკატის დისციპლინირებას, თუმცა თანხის დაბრუნების მოთხოვნას არ იხილავს, რადგან კანონის თანახმად, არ გააჩნია მსგავსი უფლებამოსილება.

---

<sup>70</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #031/18.

<sup>71</sup> იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #025/11.

## IX. დასკვნა

ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლის მატარებელს, ადვოკატთა ეთიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა პროფესიული ქცევის მაღალ სტანდარტებს უწყებს. ამ სტანდარტებს შორისაა ადვოკატის მიერ ჰონორარის განსაზღვრა და მისი გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირება. ნაშრომში განხილულია ის პრობლემატიკა, რაც არსებობს ამ ვალდებულების სწორად აღქმასა და შესრულებასთან დაკავშირებით. ასევე მოცემულია ანაზღაურების გამოანგარიშების ის მეთოდები (საათობრივი ანაზღაურება, ფიქსირებული ანაზღაურება, წარმატების ჰონორარი), რომელიც ყველაზე მეტად არის გავრცელებული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში. ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად, ადვოკატმა არა მხოლოდ უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა, არამედ მისი გამოთვლის წესიც უნდა განუმარტოს კლიენტს.

ნაშრომში ასევე ხაზგასმულია განსხვავებები, რაც არსებობს საქართველოს, ამერიკისა და ევროპის ადვოკატთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელ ნორმებში ჰონორარის ოდენობის გონივრულობასთან დაკავშირებით. ასევე, მოცემულია საქართველოში მოქმედი ის ამკრძალავი ნორმები, რომელიც ეხება უცხოურ ვალუტაში ადვოკატის მომსახურების შეთავაზებასა და ანგარიშსწორებას. ამ მხრივ, მიმოხილულია ეთიკის კომისიის პრაქტიკა და მოცემულია რეკომენდაცია, თუ რომელი ეთიკური ვალდებულების დარღვევად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ადვოკატის მიერ ჰონორარის შეთავაზების განსაზღვრა და ანგარიშსწორების წარმოება უცხოურ ვალუტაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ასევე განხილულია მოცემულ ნაშრომში, არის მინდობილი თანხები/ქონება და მასთან დაკავშირებული ფიდუციური ვალდებულებები. ამ მხრივ, მიმოხილულია არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა, არამედ უცხო ქვეყნების პრაქტიკაც, რომლის თანახმადაც, ფიდუციური ვალდებულებების დარღვევა, ერთ-ერთ უმძიმეს დისციპლინურ გადაცდომად ითვლება, რომლისთვისაც შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს ისეთი მძიმე სახდელის ფორმა, როგორც არის საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევა.

ასევე საშრომში საუბარია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისა და პროფესიული ქცევის კოდექსით შემზღვეული ნორმის ურთიერთმიმართებაზე, რომელზეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც იმსჯელა და დაადგინა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ ქმნის პროფესიული სტანდარტების



უარყოფის საფუძველს“<sup>72</sup>. შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობის შეწყვეტისას ადვოკატი ვალდებულია დაუბრუნოს კლიენტს გამოუმუშავებელი ჰონორარი და სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა მას გადასცა წარმომადგენლობის პროცესში. ამ მხრივ, განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც არის პროპორციულობის დაცვა აღნიშნული გაანგარიშებისას. ადვოკატმა ფორმალურად არ უნდა განმარტოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი და კლიენტს უნდა დაუბრუნოს არა ნებისმიერი ოდენობის, არამედ ის თანხა, რომელიც მის მიერ შეუსრულებელი სამუშაოს პროპორციული იქნება. ამასთან, მნიშვნელობა არ ენიჭება რომელი მხარის ინიციატივით წყდება ვადამდე საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. გამოუმუშავებელი ჰონორარისა და დაუხარჯავი მინდობილი თანხების/გადაცემული ქონების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება მაინც აკისრია ადვოკატს.

დაბოლოს, ნაშრომში ასევე მითითებულია რეკომენდაცია ეთიკის კომისიის კომპეტენციის თაობაზე ადვოკატისათვის თანხის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი ჰონორარისა და მინდობილი თანხების დაბრუნების საკითხს იხილავს ეთიკის კომისია, ამ მხრივ ადგენს ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს და ახდენს ადვოკატის დისციპლინირებას, თუმცა ეთიკის კომისიას არ აქვს კომპეტენცია, სასამართლოსაგან განსხვავებით, რომ ადვოკატს დააკისროს თანხის გადახდა.

ადვოკატის მიერ ჰონორარის განსაზღვრის, მისი გამოთვლის წესის შესახებ კლიენტის ინფორმირების, მოსალოდნელი ხარჯების შესახებ კლიენტის ინფორმირების, მინდობილი თანხების/ქონების კეთილსინდისიერი მართვისა და სხვა ფიდუციური ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს არა მხოლოდ იმ კონკრეტულ კლიენტთან ურთიერთობაზე, რომლის საქმესაც ადვოკატი აწარმოებს, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსზე, რაც საზოგადოებაში გაარღმავებს ნდობას და გამოიწვევს უფრო დიდ პატივისცემას ამ პროფესიის წარმომადგენლებისადმი.

---

<sup>72</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16.

## X. ბიბლიოგრაფია

### ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995)
2. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (2009)
3. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #N238-რს, (29.12.16)
4. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ (2001)
5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (1984)
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009)
7. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #93/04 „მეწარმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების რეალიზაციის ან/და მომსახურების გაწევის შეთავაზებისას ან/და რეკლამირებისას ფასის გამოხატვასთან დაკავშირებით განსხვავებული წესის დადგენის თაობაზე“ (22.06.2017)
8. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“, №8/04 (22.01.2015)
9. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (2006)
10. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება (2010)
11. გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ (1990)
12. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ (Rec 2000.21)
13. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) 1988
14. ქამერიკის იურისტთა ასოციაცია, პროფესიული პასუხისმგებლობის მოდელური წესები (1969)
15. IIBA ეთიკის კოდექსი (1988) და საერთო პრინციპები (2006)
16. იტალიის ადვოკატთა ეთიკის კოდექსი (2014)
17. პრაქტიკის ჰარმონიზაციის წესები, საფრანგეთის ადვოკატთა საბჭო

### ქართულენოვანი ლიტერატურა

18. მოლიტერნო ჯ. ჰარისი ჯ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, Tomson West, თბილისი, 2014
19. იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ვაშინგტონი, 2009

### უცხოენოვანი ლიტერატურა

20. Kent D. Kauffman – Legal Ethics, third edition, Cengage Learning, NY, USA, 2014
21. Freedman Abbe Smith H. M. - Understanding Lawyers' Ethics, third edition, LexisNexis, 2004
22. Dzienkowski J. - Professional Responsibility Standards, Rules & Statutes, 2003-2004
23. Schwartz M.D., Wydick R.C., Perschbacher R.R. and Bassett D.L. – Problems in Legal Ethics, sixth edition, Tomson West, 2003

### ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები/რეკომენდაციები

24. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N025/11.
25. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #093/17.
26. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #084/13.
27. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #103/18.
28. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #098/17.
29. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #004/12.
30. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე # 096/18.
31. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე 125/18.
32. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #133/13.

33. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #012/16.
34. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #101/17.
35. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #057/17.
36. ეთიკის კომისიის წევრის განსხვავებული მოსაზრება, საქმეზე N057/17.
37. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე #015/18.
38. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე #035/18.
39. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე #026/17.
40. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე #031/18.
41. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2013 წლის 26 ივნისის რეკომენდაცია #010/13
42. IN RE ARNOLD M. WARHAFTIG, DRB, 524 A.2d 398 (N.J. 1987)
43. IN RE JOHN M. ROSELLINI, DRB, 646 P.2d 122 (Wash. 1982)

### სასამართლო გადაწყვეტილებები

44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1161-1116-2016.
45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/5-14.
46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/1-17.
47. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/17-16.
48. Robert L. Wheeler, INC. v. Scott, Supreme Court of Oklahoma, 1989, 777 P.2d